პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 236 (11847)

კვირა, 9 ოქტომბერი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის VI კონგრესისადმი

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დეპეშა გაუგზავნა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის VI კონგრესს ბაღდადში. ხრუშჩოვი გულითადად მიესალმება კონგრესის მონაწილეებს და მათი სახით სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით სტუდენტს.

ცნობილია, რომ ახალგაზრდობა, სტუდენტები, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, წარმოადგენენ აქტიურ ძალას და მას შეუძლია ხელი შეუწყოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც აღელვებენ კაცობრიობას. ვფიქრობ, დამეთანხმებით, ძვირფასო მეგობრებო, რომ თანამედროვეობის ასეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემებია განიარაღების პრობლემა და კაცობრიობის სრული განთავისუფლება სამარცხვინო კოლონიური წესწყობილებისაგან.

ამ პრობლემების წარმატებით გადაჭრაზე დამოკიდებულია ჩვენი პლანეტის ასეულ მილიონობით ადამიანის ბედნიერება და აყვავება, ახალგაზრდა თაობის მომავალი.

საბჭოთა მთავრობის მეთაური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონგრესი შეიკრიბა ღირსშესანიშნავ ეპოქაში, როცა ისტორიულ მასშტაბით ადამიანის ყურადღება მიპყრობილია გათავისუფლების ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომათა დარბაზისადმი, სადაც განიხილავენ თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემებს. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი რწმენას გამოთქვამს, რომ სტუდენტები ღირსეულ წვლილს შეიტანენ ამ პრობლემების გადაჭრაში. (საკდესი).

გაეცანით ყველას ღონისძიებანი მშვიდობისათვის ბრძოლაში

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ჟურნალისტებთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

7 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟურნალისტთა ასოციაციამ საუზმე გამართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. საუზმეს დაესწრო ამერიკელი და უცხოელი კორესპონდენტი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა საუზმეზე გააკეთა განცხადება, შემდეგ კი დაწვრილებით და ამომწურავად უპასუხა მრავალ შეკითხვაზე.

„პაბლისიტი“, როგორც ჩვენ, და ამიტომ მოგვწონხართ.

მაგრამ ყველაზე უფრო გიცნობთ როგორც თანაარსებობის იდეის დიდ პროპაგანდისტს. მოხარული ვართ მოგესალმოთ ჩვენ შორის, იმათ შორის, ვინც ცხოვრებისეულ რეალობად გადააქცია თანაარსებობის იდეა. ჩვენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ვართ და ჩვენი ბიოგრაფიებიც სხვადასხვაგვარია. ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსი გვაქვს. ჩვენ ვწერთ გაზეთებსა და ჟურნალებში ან ვმუშაობთ რადიოსადგურებისათვის, რომლებიც სულ სხვადასხვაგვარ აზრს გამოხატავენ. მაგრამ ჩვენ შორის სუფევს საუკეთესო ამხანაგური სულისკვეთება. ჩვენ არ ვდავობთ იმ საკითხებზე, რომლებსაც ჩვენი ერომანეთისაგან დაშორება შეუძლია, და თუ არ მიმდინარეობს მაინცდამაინც ბევრი საგანგებო და საღამოს სხდომა, ხშირად განვიხილავთ ხოლმე სხვადასხვა საკითხებს ურთიერთშორის, ვცდილობთ უკეთ გავიგოთ. თუ რა არის ამ სიძნელეთა მიზეზი. ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ თანაარსებობა ჩვენთვის პრობლემა როდია, თუმცა იგი შესაძლოა მსოფლიოსთვის მეტისმეტად ძნელი პრობლემაა.

მაგრამ ჩვენ არ ვიცით, მაინც წევთ თუ ვერა. როგორც თქვენ, ისე სხვები, წარმატებებს თანაარსებობის იდეის განხორციელების საქმეში, ამ იდეის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების საქმეში. და როგორ მიაღწიონ ამას. ვიმედოვნებთ, რომ იქნებ აგვიხსნათ ეს სხვა საკითხებთან ერთად.

დასასრულ მინდა ვთქვა რუსულად, თუ ძალიან ცუდად არ გამოვთქვამ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“.

ბატონებო. წარმოვიდგენთ თავმჯდომარეს ბატონ ნიკიტა ხრუშჩოვს.

შემოეგ თავმჯოომარემ სიტყვა მისცა ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც გულითადი ტაშით შეხვდნენ, თქვა:

— ბატონო ასოციაციის პრეზიდენტო! პატივცემულო ბატონებო. ამხანაგებო. მეგობრებო!

მოხარული ვარ შეხვდეთ თქვენ, ჟურნალისტებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას აშუქებთ. მე ხშირად მიხდება შეხვედრა ჟურნალისტებთან. თქვენი პროფესია ძნელი. მაგრამ კეთილშობილური პროფესიაა. პრესას შეუძლია დახმარება გაუწიოს ხალხებს, რომ სწორად გაიგონ ყოველივე ის, რაც ხდება რთულ თანამედროვე მსოფლიოში. მაგრამ პრესას შეუძლია ხელი შეუწყოს ხალხთა დეზორიენტაციასაც, თუ მას გარკვეული წრეები ანგარების მიზნით გამოიყენებენ.

ამ დღეებში თქვენ ბევრი სამუშაო გაქვთ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია ყველაზე მნიშვნელოვანი სესიაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის დროიდან. ამ სესიაზე განხილულ უნდა იქნას ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები, როგორიც არის განიარაღება და სამარცხვინო კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაცია. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ პრობლემების წარმატებითს შეთანხმებულ გადაჭრას. განიარაღების საქმით დაინტერესებულია ყველა ხალხი. რადგანაც მხოლოდ ამით შეიძლება თავიდან ავიცილოთ ახალი გამანადგურებელი ომი.

მე არ მჭირდება გიმტკიცოთ, რომ ეს საკითხები. ისევე როგორც სხვა საკითხები, შეიძლება გადაიჭრას, თუ იქნება კეთილი ნება და მშვიდობიანი თანაარსებობის, ადრესულ აქტებზე უარის თქმის პრინციპების საფუძველზე ყველა ქვეყანას შორის თანამშრომლობისადმი მისწრაფება, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით.

თანამედროვე პირობებში სისუსტედ ცდა თავს მოიხვიონ სხვა ქვეყნებს ესა თუ ის გადაწყვეტილებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მექანიკური უმრავლესობის გამოყენებით. საჭიროა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ითვალისწინებდეს სახელმწიფოთა ყველა არსებული ჯგუფის ინტერესებს, როგორც იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც შედიან დასავლეთის სამხედრო ბლოკებში, ისე სოციალისტური და ნეიტრალისტური სახელმწიფოებისა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშა ორგანოების შესაბამისი სტრუქტურის შექმნა ხელს შეუწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესებას.

მოგიწოდებთ ყველას გამოიყენოთ ჩვენს ძალა, თქვენი უნარი, თქვენი გავლენა ისეთი ვითარების შექმნისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას, მოგიწოდებთ წეროთ სიმართლე. დაე მილიონობით თქვენი მკითხველის წინაშე წარმოისახოს თანამედროვე სამყაროს და ყველა ჩვენგანის წინაშე მდგომი პრობლემების მართალი და რეალური სურათი.

გმადლობთ ყურადღებისათვის. ახლა მზად ვარ გიპასუხოთ თქვენს კითხვებზე. **(ტაში).**

პ. ფრედერიკის — „ნიუზნლ ბროდკასტინგ კომპანის“ კორესპონდენტის კითხვა:

ბატონო თავმჯდომარევ! მიგაჩნიათ თუ არა, რომ არის რაიმე იმედი პროგრესის მიღწევისა განიარაღების დარგში ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მიღწეულ იქნება უთანხმოებათა შენელება და შიშისა და უნდობლობის ლიკვიდაცია, რაც არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ვფიქრობ, რომ თუ უარს ვიტყვით განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობის იმედზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს განვუმზადოთ ახალი ომი, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელი მოაწერონ თავის უძლურებას იმ ადამიანებმა, რომლებმაც უნდა იფიქრონ მშვიდობაზე და შექმნან მშვიდობიანი თანაარსებობის პირობები. ამიტომ მე ახლაც ოპტიმისტურად ვუყურებ განიარაღების შესახებ შეთანხმების შესაძლებლობას და არაერთხელ განმიცხადებია, რომ არსებობს ასეთი პირობები.

ძნელია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად მომწიფდა ახლა ეს პირობები, იმიტომ რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესია დაემთხვა „შტორმის პერიოდს“ ამერიკელი ხალხის ცხოვრებაში. მე მხედველობაში მაქვს პრეზიდენტის არჩევნები. ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა ყველა ამით არის გართული, ყველაფერი ამას ექვემდებარება, და ის მოღვაწეები, რომლებზეც დამოკიდებულია განიარაღების საკითხის გადაჭრა, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ რომელი კანდიდატი იქნება არჩეული პრეზიდენტად. ეს სამწუხარო მოვლენაა, იმიტომ რომ პრეზიდენტად შეიძლება იყოს ესა თუ ის მოღვაწე, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს საერთაშორისო პრობლემებისათვის, — ეს ხომ ერთი ქვეყნის საშინაო საკითხია. ჰოდა, ახლა შეერთებულ შტატებში ყველაფერი ექვემდებარება არჩევნებს, და ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ამას. მაგრამ ეს წარმავალი საქმეა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მშვიდობა, ხელები კი არ ჩამოვუშვათ, არამედ განვაგრძოთ მეცდარი ბრძოლა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, განიარაღებისათვის. მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში მთავარია ერთი რამ — განიარაღება და არა კონტროლი შეიარაღებისადმი. როგორც ამას მოითხოვს შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბატონი ეიზენჰაუერი. ვიმეორებ, თუმცა ეს უკვე ბევრჯერ მითქვამს, და გავიმეორებ. სანამ ყველასათვის ნათელი არ იქნება, რომ განიარაღება, იარაღის მოსპობა ომის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა, ხოლო კონტროლი შეიარაღებისადმი იარაღის შენარჩუნებაა. ხოლო თუ იარაღი შენარჩუნებული, თუნდაც კონტროლით, მას, ვისაც იარაღი ეკუთვნის, ყოველთვის შეუძლია გამოიყენოს იგი აგრესიული მიზნით, როცა მას ეს მოესურვება. ამიტომ, ვისაც ნამდვილად სურს მშვიდობა, ის უნდა იბრძოდეს არა შეიარაღებისადმი კონტროლისათვის, არამედ განიარაღებისათვის, იარაღის მოსპობისათვის უადრესად სასტიკი, ფართო და ღრმა საერთაშორისო კონტროლით.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავაშუქო კიდევ ერთი საკითხი. მინდა შევახსენო ცნობა, რომელიც ამერიკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბატონ მაკმილანთან ჩემი შეხვედრის შესახებ. გაზეთებში ზუსტად არ იყო ნათქვამი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ბატონ მაკმილანთან ჩემი შეხვედრებისა და საუბრების შედეგების შესახებ.

ჩვენ მართლაც გვქონდა საუბარი განიარაღების შესახებ, ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობის შესახებ. ბატონმა მაკმილანმა თქვა, რომ საჭირო არ არის აჩქარება ამ საკითხში, რომ საჭიროა დაველოდოთ, რათა შეიქმნას უკეთესი პირობები ქვეყნებს შორის ნდობისათვის. მაშინ შეიძლება მივაღწიოთ შეთანხმებას განიარაღების შესახებ. ბატონ მაკმილანს მიაჩნია, რომ ნდობის ატმოსფეროს შესაქმნელად უნდა გავიდეს დაახლოებით 5-10 წელი, მანამდე კი უკეთესია შეიქმნას რაღაც ტექნიკური საექსპერტო კომისიები, რომლებიც შეისწავლიან ამ საკითხებს. ერთი სიტყვით, იგი გვთავაზობს ვიმოძრაოთ ნელა. როგორც მოძრაობს დედამიწაზე ბევრი მწერი, ლოკოკინა და სხვა ნაკლებმოძრავი ორგანიზმები.

თუ განიარაღების საკითხს დამოკიდებულს გავხდით დაძაბულობის შენელებასა და ნდობის დამყარებაზე, როგორც ამას ზოგიერთი სჩადის. გეტყვით, რომ ეს საკითხის ძალიან საშიში დაყენებაა. ეს ნიშნავს გავმართოთ ჯამათი იმაზე, თუ რა უფრო ადრე გაჩნდა, ქათამი თუ კვერცხი **(სიცილი დარბაზში).** რა გაჩნდა უფრო ადრე — ქათამი თუ კვერცხი, — ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ახლაც არ არის გადაჭრილი. მაშასადამე, თუ ასეთი გადაწყვეტილება, რომელზეც თქვენ ამბობთ, მიღებულ იქნებოდა ხმების ორი მესამედით, თუ ეს გადაწყდებოდა თუნდაც 99 პროცენტის უმრავლესობით, ჩვენ მაინც ვერ დავთანხმებოდით ასეთ გადაწყვეტილებას.

უმრავლესობის ის პრინციპები, რომლებსაც თქვენ განსაზღვრავთ ორი მესამედით სადავო საკითხების გადაჭრის დროს, სავსებით მისაღებია ქვეყნის შიგნით, როცა წყდება საშინაო საკითხები — პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა საკითხები. მაგრამ აქ საქმე გვაქვს რთულ საერთაშორისო საკითხთან. ამ საკითხს წყვეტენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნები. ეს ხომ პარლამენტი არ არის, არამედ საერთაშორისო ფორუმია, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ გადაჭრას საკითხები ისე, რომ გადაწყვეტილებამ ზიანი არ მიაყენოს ამ ფორუმში შემავალ რომელიმე სახელმწიფოს.

თუ თქვენ გსურთ, მე უფრო გაშიშვლებულად დავაყენებ ამ საკითხს, წარმოიდგინეთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს თავში მოუვიდათ ასეთი „იდეალური“ აზრი: მოდით დავადგინოთ მოვსპოთ სოციალისტური სისტემა საბჭოთა კავშირში. რა იქნებოდა, რომ ამისათვის ხმა მიეცა ყველას, ჩვენს გარდა, სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს გარდა? რას ვიტყოდით ჩვენ ამაზე? ჩვენ ვიტყოდით, როგორც ჩვენში რუსები ამბობენ ასეთ შემთხვევებში: „მობრძანდით აქედან“! თქვენ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება, თქვენვე იცხოვრეთ მასთან ერთად, ჩვენ კი, როგორც გვიცხოვრია ჩვენი სოციალისტური სისტემის დროს, ისევე ვიცხოვრებთ. ხოლო ვინც ცხვირს შემოყოფს, ბოდიში ასეთი არადელიკატური, მაგრამ საკმაოდ ხატოვანი გამოთქმისათვის, იმას ცხვირიპირს დავამტვრევთ!“.

ბატონებო, აქ დასმულია მეტად სერიოზული საკითხი, ამიტომ მინდა ამ საკითხზე კიდევ შევჩერდე. გთხოვთ საფუძვლიანად ჩაუფიქრდეთ ამ საკითხს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელიც იმპერიალისტური, სოციალისტური და ნეიტრალისტური სახელმწიფოებისაგან შედგება, მეტი წილი ხმები ახლა ჯერ კიდევ იმპერიალისტური, კოლონიური ბლოკის ქვეყნებს აქვთ. ჩვენ, სოციალისტური ქვეყნები, დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უმცირესობას შევადგენთ. მაგრამ ეს მდგომარეობა ცვალებადია: დღეს უმცირესობა ვართ, ხვალ, გიწინასწარმეტყველებთ, რომ თქვენ იქნებით უმცირესობა. მაშასადამე, თქვენ ბოროტად არ უნდა გამოიყენოთ დროებითი უმრავლესობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმისათვის, რომ თავს მოახვიოთ თქვენი გადაწყვეტილებანი უმცირესობას, იმიტომ, რომ, ვიმეორებ, ეს პარლამენტი არ არის. ჩვენ აქ განვიხილავთ არა ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო საკითხებს, არამედ განვიხილავთ საერთაშორისო საკითხებს, ამასთან პატივს ვცემთ სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტს და არ ვერევით მათს საქმეებში. საჭიროა ეს ვიქონიოთ მხედველობაში და ამით ვიხელმძღვანელოთ. მაშინ იქნება მიღწეული საკითხის სწორი გადაჭრა.

ამას გარდა, გთხოვთ სერიოზულად ჩაუფიქრდეთ ჩვენს წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის შესახებ. ჩვენ არ მოვითხოვთ ისეთ მდგომარეობას, რომ დღეს დავიკავოთ დასავლეთის ქვეყნების თანაბარი ადგილები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და სავიზნოში. ჩვენ არ ვთხოულობთ უმრავლესობას, ვთხოულობთ მხოლოდ ჩვენს წილს.

მსოფლიოში 3 მილიარდი მოსახლეობაა. სოციალისტურ ქვეყნებშია მილიარდზე მეტი. ეს ნიშნავს 1/3-ზე მეტს. მაგრამ ჩვენ წერილმანი ადამიანები არა ვართ და არამობით არ ვანგარიშობთ. თანახმა ვართ 1/3-ზე. იმპერიალისტურ, კოლონიურ სახელმწიფოებს ჰყავთ 1/3-ზე ნაკლები მოსახლეობა თავიანთ სახელმწიფოებში, მაგრამ ჩვენ მათ ვეუბნებით: თქვენც მესამედი გყავდეთ. ნეიტრალისტურ ქვეყნებში 1/3-ზე მეტი მოსახლეობაა, ჩვენ მათ შეხებაც ვამბობთ — თქვენც 1/3.

ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, — ეს კი საერთაშორისო ორგანიზაციაა, — წარმოდგენილი იქნებოდა სახელმწიფოთა სამივე ჯგუფი: კაპიტალისტური — მონოპოლისტური კაპიტალის ქვეყნები, კოლონიური სახელმწიფოები; სოციალისტური ქვეყნები — ნამდვილად თავისუფალი სამყაროს ქვეყნები, თავისუფალთა შორის უველაზე თავისუფალი ქვეყნები, და ნეიტრალისტური ქვეყნები. და ყველა მათგანს ექნებოდა თავისი წილი, თავისი მესამედი. ამით შეიქმნებოდა თანაბარი პირობები სახელმწიფოთა სამივე ჯგუფისათვის. ეს შეაძლებლობას მოგვცემდა გადავეჭრა საერთაშორისო საკითხები ისე, რომ ამ გადაჭრამ ზიანი არ მიაყენოს სახელმწიფოთა არც ერთ ჯგუფს. განა ეს გონივრული არ არის?

ჩვენ მოვითხოვთ არა პრივილეგიებს. არამედ ჩვენს წილს, რის უფლებაც გვაქვს.

თუ თქვენ გსურთ უმრავლესობით დაგვიმორჩილოთ და გვაიძულოთ გადავჭრათ საკითხები არათანაბარ პირობებში, ამით გვაიძულებთ დაგივცვათ ჩვენი ინტერესები არა კეჩხისყრით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ, ესე იგი დავეყრდნოთ ჩვენს ძალას, ჩვენს ძლიერებას. ეს კი, როგორც გესმით, უკვე გამოიწვევს ურთიერთობის გაფუჭებას.

ჩვენს წინადადებებს საფუძვლად უდევს გონივრული საწყისი. ჩვენ გვინდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ჩვენ გვინდა მშვიდობიანი თანაარსებობა, გვინდა მშვიდობა და მეგობრობა. თქვენ კი იცავთ ბატონობას ჩვენზე, სოციალისტურ ქვეყნებზე და ნეიტრალისტურ ქვეყნებზე. მაშასადამე, თქვენ ადგახართ „ცივი ომის“ განკრძობის და ურთიერთობის გამწვავების პოზიციებს. ჩაუფიქრდით ამას, ბატონებო! თუ თქვენ დღეს არ ჩაუფიქრდებით და სწორად არ გაიგებთ ამას, იმდღე მაქვს გათვალისწინებული, იმიტომ რომ სხვა გამოსავალი არ არის.

საკითხი ასე დგას: ან განვავითარებთ ჩვენს ურთიერთობას საერთაშორისო დაძაბულობისა და „ცივი ომის“ ლიკვიდაციის გზით, გამოვიჩენთ მისწრაფებას მშვიდობისა და მეგობრობისადმი, ანდა განვახორციელებთ გამწვავების შემდგომ ხაზს, რომელიც ღრმერთმა იცის რით შეიძლება დამთავრდეს, იმიტომ რომ დაძაბულობისა და „ცივი ომის“ ყოველი გამწვავება შეიძლება გადაიზარდოს ცხელ ომად.

ვისაც სურს ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა, მან უნდა გაითვალისწინოს არა მარტო თავისი ქვეყნისა და თავისი ქვეყნების ჯგუფის ინტერესები, არამედ მან უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების, ნეიტრალისტური ქვეყნების ინტერესებიც.

ჩვენ არ გვინდა თავს მოგახვიოთ ჩვენი სოციალისტური წყობილება. იცხოვრეთ ისე, როგორც თქვენი სინდისი გიკარნახებთ, მაგრამ ნუ გვიშლით ხელს ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენი სინდისი გვიკარნახებს. მოდით ხელს ნუ შევუშლით ნეიტრალისტურ ქვეყნებსაც, დაე იცხოვრონ ისე, როგორც თავიანთი სინდისი უკარნახებთ.

ჩვენ არაფერს არ ვთხოულობთ სხვა სახელმწიფოთა ხარჯზე. ჩვენ გვინდა მხოლოდ თანაბარი პირობები ყველასათვის. ჩვენ გვინდა შემდგომშიც ვიმუშაოთ საერთო საქმისათვის — მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

კანადის რადიოს კორესპონდენტის სტენლი ბერკის კითხვა:

თქვენ ამბობთ, რომ დასავლეთის ქვეყნების მთავარი მიზანი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ი. აზოდი

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

7 ოქტომბერს დღის პირველ ნახევარში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის შენობაში სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ისრაელის დელეგაციის მეთაური, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. აზოდი მისივე თხოვნით.

გაიმართა ხაუბარი, რომლის დროს შეეხნენ საკითხებს, რაც სსრ კავშირისა და ისრაელის მთავრობებს აინტერესებთ.

საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

საუზმე ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟურნალისტთა ასოციაციაში

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟურნალისტთა ასოციაციამ საუზმე გამართა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. საუზმეს დაესწრო ბევრი ამერიკელი და უცხოელი კორესპონდენტი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა საუზმეზე გააკეთა განცხადება, შემდეგ კი დაწვრილებით და ამომწურავად უპასუხა მრავალ შეკითხვაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). 7 ოქტომბერს საბჭოთა დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი იყო სადილზე, რომელიც ნიგერიის პრემიერ-მინისტრმა აბუბაკარ ტაფავა ბალევამ გამართა მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციათა მეთაურების პატივსაცემად.

მეგობრული შეხვედრა

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ნ. ვ. პოდგორნიმ დღეს სადილი გამართა მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციათა მეთაურების პატივსაცემად. სადილზე, რომელმაც გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. გეორგიუ-დეჟი, ვ. გომულკა, ტ. ჟივკოვი, ი. კადარი, ა. ნოვოტნი, მ. შეჰუ, კ. ტ. მაზუროვი, ა. ა. გრომიკო, ა. რაპაცკი, ვ. დავიდი, ე. შიკი, შ. ვოიტეკი. ლ. რეუტუ, კ. ლუკანოვი, ბ. შტოულა, ლ. თ. პალარჩუკი. კ. ვ. კისელიოვი, მ. ა. მენშიკოვი, პ. პ. უდოვიჩენკო, ვ. ა. ზორინი, მ. ი. კუჭავა და სხვები.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ჟურნალისტებთან

(დასასრული)

კონგოში ის არის, რომ შეინარჩუნონ კონტროლი ამ ქვეყნის ნედლეულზე, განსაკუთრებით ურანზე. როგორ შეგიძლიათ გაამართლოთ ეს განცხადება, თუ გაითვალისწინებთ, რომ ურანი კატანგის ეს ძიებითაღი პროდუქტი, მსოფლიოში მეტად დიდი რაოდენობით არის და ურანის დიდი მაღაროები, მაგალითად, კანადაში იხურება?

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ ბატონო, გინდათ თავს მომახვიოთ თქვენი ის გაგება, რომ კოლონიზატორები იპყრობენ კოლონიებს და სპობენ ადამიანებს იმისათვის, რომ დაეხმარონ მათ მალე დაამთავრონ ამქვეყნიური ცხოვრება და მალე წავიდნენ სამოთხეში. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ჩემთვის სრულიად მეორეხარისხოვანი საკითხია, თუ რატომ მიდიან და რა აინტერესებთ კოლონიზატორებს — ურანი, კობალტი, თუ ეშმაკი და დოზანა. ისინი მიდიან, რომ ძარცვონ კოლონიური ხალხები, გამდიდრდნენ მათ ხარჯზე, მოსპონ დამონებული ქვეყნების ხალხები. როცა ბელგიელი კოლონიზატორები მიდიოდნენ კონგოში, იქ იყო 20 მილიონზე მეტი მოსახლეობა, ახლა კი, როცა კოლონიზატორები წავიდნენ კონგოდან იქ მრავალი წლის ყოფნის შემდეგ, მოსახლეობა არათუ არ გადიდდა, არამედ თითქმის ერთიორად შემცირდა. რატომ? განა ზანგებში უფრო ცოტა ბავშვი იბადება? არა. ზანგებში შეიძლება მეტიც იბადება, ვიდრე ევროპელებში, მაგრამ მათ აქვთ წარმოუდგენელი, არაადამიანური პირობები, და ამიტომ მათი შვილები ვერ ცოცხლობენ, — იხოცებიან, ხოლო ისინი, რომლებიც ბავშვობაში არ მომკვდარან, დიდხანს ვერ ცოცხლობენ; მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ისეთი არ არის, როგორიც ნორმალურ ადამიანურ პირობებში მცხოვრები ადამიანებისა. ან ავიღოთ ავსტრალიელები. აი ბ-ნი მენზისი გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე. მას შეეძლო ეამბნა, თუ როგორ იპყრობდნენ ავსტრალიას, როგორ სდევნიდნენ და სპობდნენ კოლონიზატორები იქ ადამიანებს, როგორც გარეულ ნადირებს. მათ მოსპეს თითქმის მთელი მკვიდრი მოსახლეობა. და ამას „ცივილიზაციას“ უწოდებენ! ასეთი „ცივილიზაცია“ ხალხებს დაამახსოვრდებათ, საუკუნეობით დარჩება სიძულვილი დამმონებლებისადმი.

ჩვენ კოლონიზატორების პოლიტიკის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ მთელი არსებით ვაცხადებთ პროტესტს ამ პოლიტიკის წინააღმდეგ და ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა რაც შეიძლება მალე დაიღუპოს ეს წყეული, დრომოჭმული მონური კოლონიური წყობილება, რათა ყველა ხალხმა მოიპოვოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

„კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კორესპონდენტის რ. ჰოტელეტის კითხვა:

თქვენი აზრით, რას მიაღწიეთ ნიუ-იორკში — როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ისე მის გარეთ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. შეშის მჭრელი თავისი შრომის ხარისხსა და რაოდენობას გარკვეული საზომით ზომავს. წინათ რუსებს ჰქონდათ საქენი, ახლა ეს აღარ აქვთ. წარსულში მე ზეინკლად ვმუშაობდი და ჩემი შრომის გარკვეული საზომი მქონდა. მამაჩემი მეშახტე იყო — მასაც ჰქონდა თავისი საზომი. ახლა პოლიტიკური მოღვაწე გავხდი. შეშის მჭრელი არა ვარ. უფრო სწორად, შეშის მჭრელიც ვარ, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკოსიც. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხანმოკლე ყოფნის შედეგად გაწეული ჩემი შრომის რაოდენობისა და ხარისხის რაღაც გარკვეული საზომით გაზომვა, ვფიქრობ, შეუძლებელია. ერთს ვიტყვი — ვინც ფიქრობს, რომ ჩვენმა შრომამ ამაოდ ჩაიარა, მას არ ესმის ის, რაც ხდება.

ჩვენ აქ დავთესეთ კეთილი თესლი, მშვიდობისა და მეგობრობის თესლი, ვამხილებდით სიცრუეს და ვთესავდით სიმართლის თესლს; და ახლა ზოგმა ვინმემ რაგინდ ხმამაღლა იყვიროს, რათა ჩაახშოს სიმართლის ხმა, სულ ერთია საამისოდ ხმა არ ეყოფა. სიმართლეს ვერ ჩაკლავ! სიმართლე გაიმარჯვებს. თუ როდის გაიმარჯვებს, — ამისათვის მოთმინებაა საჭირო.

ჩვენ არ ვწყვეტთ სიმართლისათვის ბრძოლას, დავიწყეთ იგი და განვაგრძობთ. სიმართლე ჩვენს მხარეზე იქნება. გთხოვთ დაიხსომოთ: სიმართლე გაიმარჯვებს იმიტომ, რომ სიცრუე დიდხანს ვერ იცოცხლებს; ადამიანები მიხვდებიან სიცრუეს, როგორი გრიმიც უნდა გაუკეთონ მას, რა ოსტატურადაც უნდა წარმოისახონ იგი ფოტოგრაფებმა, კინემატოგრაფისტებმა, ჟურნალისტებმა, მხატვრებმა, — სულ ერთია სიცრუის ფიზიონომია ყოველთვის გამოჟღავნდება და ზიზღს გამოიწვევს, სიმართლე კი მიიზიდავს ხალხების გულს. სიმართლე ჩვენს მხარეზეა. სიმართლე გაიმარჯვებს! **(ტაში).**

ტუნისის რადიოს კორესპონდენტის სიმონ მოლელეს კითხვა:

როგორც თქვენ აქ, ნიუ-იორკში, ისე სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები მოსკოვში ოფიციალურ საუბრებს აწარმოებდნენ აღკირის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელებთან. ეს ისე განმარტეს, რომ საბჭოთა მთავრობა დე-ფაქტო ცნობს ალჟირის მთავრობას.

ხომ არ გსურთ კომენტარი გაუკეთოთ ამას, და, კერძოდ, გვითხრათ, რა დახმარების გაწევას უპირებთ ალჟირელ ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში?

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ სწორად გაგიგიათ, რომ ჩვენი შეხვედრებიდან და საუბრებიდან დამოწმებით, რომ ჩვენ დე-ფაქტო ვცნობთ ალჟირის დროებითს მთავრობას. მე მიმაჩნია, რომ არა მარტო ჩვენ ვცნობთ, არამედ მას ცნობს მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, და პირველ რიგში იგი ცნო საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა, რომელმაც მოლაპარაკება გამართა ალჟირის ამ დროებითი მთავრობის წარმომადგენლებთან.

მე უკვე წინათ მიპასუხნია ასეთ კითხვებზე, მითქვამს, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, სიმპათიით ვეპყრობით კოლონიურ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიზატორთა წინააღმდეგ, თავიანთი დამოუკიდებლობისათვის. როგორ შეგვიძლია გამოვრიცხოთ ისეთი დიდი ხალხი, როგორიც არაბი ხალხია, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის, თავისი თავისუფლებისათვის? ჩვენ მივესალმებით მის ბრძოლას. ჩვენ ვუწევდით და კვლავაც გავუწევთ ყოველგვარ დახმარებას, რომელიც ძალგვიძს, როგორიც სარგებლობას მოუტანს ალჟირელ ხალხს თავისი დამოუკიდებლობისათვის, თავისი თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

გაზეთ „უნიტას“ კორესპონდენტის ფერარას კითხვა:

რა აზრისა ხართ 5 ნეიტრალური ქვეყნის რეზოლუციისათვის კენჭისყრის შესახებ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ ჩვენი დამოკიდებულება ამ რეზოლუციისადმი გამოვთქვით ჩემს წერილში მისი ავტორების მიმართ, რომელიც გამოქვეყნდა. არა მგონია საჭირო იყოს დავუბრუნდე ამ საკითხს ახლა.

„ორლდუაიდ პრეს სერვისის“ სააგენტოს კორესპონდენტის ა. ფლეტჩერის კითხვა:

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი ყოველნაირად მოუწოდებს განვითარონ სუსტადგანვითარებული ქვეყნები, ხომ არ გააფიქებს იგი შესატანებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარების პროგრამის ფარგლებში ისე, როგორც ამას დაჰპირდნენ ამერიკის შეერთებული შტატები?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს აზრი ამ საკითხზე. ჩვენ ვმონაწილეობთ სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით, მაგრამ გვირჩევნია, რომ სანამ მიღწეული იქნებოდეს შეთანხმება განიარაღების შესახებ, დავრჩეთ დაახლოებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით დახმარების გაწევის წინანდელ დონეზე. როცა მიღწეულ იქნება შეთანხმება განიარაღების შესახებ, განიარაღების შედეგად სრული შესაძლებლობა შეიქმნება ვიქონიოთ სახსრების ეკონომია, მაშასადამე შევძლებთ გავუდიდოთ დახმარება სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს სხვა ქვეყნებთან შეთანხმებით. მაგრამ ჩვენ გვირჩევნია უმთავრესად გავუწიოთ დახმარება ორმხრივ საფუძველზე, ესე იგი შევუთანხმდეთ სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს და ამ შეთანხმების საფუძველზე გავუწიოთ მათ უანგარო დახმარება.

ახლა, რაც შეეხება პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადებას დახმარების შესახებ, მე მომაჩნია, რომ იმპერიალისტურმა ქვეყნებმა იმის მეათედიც რომ დააბრუნონ, რაც ძარცვა-გლეჯით მოიხვეჭეს სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში, — მათ კი სულმთლად გაძარცვეს ისინი, — თუნდაც მეათედი რომ დააბრუნონ, ესეც ცოტა იქნება. მაგრამ არა მაქვს იმის იმედი, რომ იმპერიალისტური ქვეყნები გაადიდებენ დახმარებას. ერთია ლაპარაკი, სხვაა საქმე. კაპიტალიზმს შეუძლია მხოლოდ ძარცვოს. მას არ შეუძლია ნამდვილი დახმარების გაწევა, იმიტომ რომ ეს ეწინააღმდეგება კაპიტალიზმის არსს.

ამიტომ, ბატონო ჟურნალისტებო, იცოდეთ წაკითხვა, მაგრამ იცოდეთ წაკითხულის გაგებაც. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ასე მიკარნახებს ცხოვრების გამოცდილება. აიღეთ ინგლისი. რა მდიდარი ქვეყანაა. მაგრამ რა ღარიბია ინდოეთი! რა მდიდარი ქვეყანაა საფრანგეთი, მაგრამ რა ღარიბია აფრიკის ქვეყნები, რომლებიც საფრანგეთმა გაძარცვა. რა მდიდარია ინგლისი, ხოლო რა ღარიბია ცეილონი.

განა სიღარიბე ამ ქვეყნების ეროვნული თვისებაა? არა. ეს სოციალური მოვლენაა, ეს პოლიტიკური მოვლენაა. მძარცველები მივიდნენ, გაძარცვეს დამონებული ქვეყნების ხალხები, შემდეგ კიდევ ეუბნებიან — რომ გაგძარცვეთ, ამისათვის ჩვენვე გადაგვიხადეთ მადლობა, იმიტომ რომ ცივილიზაცია მოგიტანეთო. იცით, რას ამბობენ ჩვენში, — დამიფარე, ღმერთო, ასეთი მეგობრებისაგან, მტრებს კი თვითონ გავართმევთ თავსო. აქაც ასე უნდა ითქვას — დაგვიფარე, უფალო, ასეთი ცივილიზაციისაგან, ხოლო ცივილიზაციას უთუოდ თვითონ გავართმევთ თავს და ბრძოლით მოვიპოვებთ ამ ცივილიზაციას!

გარდა ამისა, ინდოეთი უფრო მაღალ დონეზე იდგა იმ დროს, როცა ინგლისმა დაიმონა ინდოეთი. ინგლისი ცივილიზაციას კი არ ემყარებოდა, არამედ მძარცველის ძალას, ძლიერის ძალას. და ეს არის სამართალი! ახლა მათ სურთ კეთილშობილება ითამაშონ. ეს, იცით... თუმცა, მგონი, ესეც კმარა! **(სიცილი დარბაზში).**

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ს. გიუნზბურგის კითხვა.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ორგანომ „ჟენმინჟიბაომ“ ცოტა ხნის წინათ დაუჭირა მხარი იმ აზრს, რომ ომები გარდუვალია, სანამ კაპიტალისტური საზოგადოება არსებობს, და რომ ატომური ბომბი „ქაღალდის ვეფხვია“. ხომ არ გსურთ კომენტარი გაუკეთოთ ამ ჩინთქვამს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე ეს გაზეთი არ წამიკითხავს. თქვენ წაგიკითხავთ, მე კი კომენტარი უნდა გაგაკეთო! შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი მდგომარეობა? თქვენ წაგიკითხავთ, თქვენვე გაუკეთეთ კომენტარი, ხოლო როცა მე წავიკითხავ, მაშინ გავუკეთებ კომენტარს. **(სიცილი დარბაზში).**

სამხრეთ კორეის სააგენტოს კორესპონდენტის დონ ხეას კითხვა.

ბატონო თავმჯდომარევ, ხომ ვერ გვეტყვით რამეს ჩრდილოეთ კორეაში დასახული გამგზავრების შესახებ. როგორია მიზანი თქვენი იქ გამგზავრებისა ამჟამად? **(სიცილი).**

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე არ მესმის, ბატონებო, რატომ ასეთი მხიარული გამოცოცხლებით შეხვდით საკითხს, რომელიც ბატონმა ჟურნალისტმა მომცა. ეტყობა, იმიტომ, რომ ეს ბატონი სამხრეთკორეელია. მე ვერ ვხედავ ასეთი გამოცოცხლების მიზეზებს. მე დიდი პატივისცემით ვეკიდები ამ ბატონის კითხვას.

მოგახსენებთ, რომ სამხრეთ კორეაში იყო ლი სინ მანი. ჩვენ მის წინააღმდეგ და მისი რეჟიმის წინააღმდეგ გამოვდიოდით. იგი ახლა იქ არ არის. არც ის რეჟიმია, რომელიც მის დროს იყო. თუმცა სამხრეთ კორეის ახლანდელი რეჟიმი არც განირჩევა წინანდელისაგან. მაგრამ დღეს ერთი რეჟიმია, ხვალ სხვა იქნება, მომდინარე საკითხი დასავლეთ ბერლინის, როგორც თავისუფალი ქალაქის შესახებ. მაგრამ მე წამოვაყენე სხვა საკითხებიც.

ბატონ მაკმილანთან საუბარში მე გამომბდი, რომ იქნებ გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების საკითხი უნდა დაგვესვა ყველა იმ ქვეყნის საბავო კონფერენციის განსახილველად, რომლებიც ომობდნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, და იქ დაგვედო საბავო ხელშეკრულება. ვინც მოისურვებს მოაწეროს ხელი, ის კიდევაც მოაწერს.

ამას მოვითხოვდი იმ მიზნით, რომ დაგვეჩქარებინა საბავო ხელშეკრულების დადება გერმანიასთან, რადგან მეტად გაჭიანურდა ამ საკითხის გადაჭრა. ბატონმა მაკმილანმა დამიდასტურა, რომ დიდ სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა თათბირი გაიმართება და ჩვენ შევძლებთ ვილაპარაკოთ იქ ამ საკითხზე. თუ ეს ასეა, ჩვენ შევასრულებთ ჩვენს სიტყვას, შევასრულებთ იმას, რაც ვთქვით, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაშალეს უმაღლესი დონის პარიზის თათბირი მაისში.

ამავე ბარათში დასმულია მეორე საკითხი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხვანაგებო სესია და ამ სესიაზე განვიხილოთ მხოლოდ ერთი საკითხი — განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევისა და განიარაღებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხი.

ამ საკითხზე მე ვილაპარაკე არა მარტო ბატონ მაკმილანს, არამედ სხვა ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებსაც.

როდის არის მიზანშეწონილი, რომ მოეწყოს ეს? მე მიმაჩნია, რომ შეიძლება შევეცადოთ თებერვალში ან მარტში. ზოგი ამბობდა, რომ შესაძლოა აპრილში, — მათ ეს უფრო აძლევს ხელს. ჭარგი იქნება ასეთი ასამბლეის მოწვევა ევროპაში. ქვეყნების 80 პროცენტი ტერიტორიულად ევროპას ემხრობა გეოგრაფიული მდებარეობით. ამიტომ ჩვენ ვამჯობინებთ, რომ საგანგებო სესია მოწვეულ იქნას ჟენევაში. მაგრამ, თუ სესიის მონაწილენი მოისურვებენ შეიკრიბონ საბჭოთა კავშირში და ასეთ პატივს დაგვდებენ, ჩვენ სიამოვნებით მივიღებდით ასამბლეას მოსკოვში ან ლენინგრადში. იქ შევქმნით ყველაზე ნორმალურ პირობებს ასამბლეის მუშაობისათვის.

ვფიქრობ, რომ ადამიანებმა, რომლებიც ნამდვილად ესწრაფვიან შეთანხმების მიღწევას განიარაღების შესახებ და მშვიდობის უზრუნველყოფას, — ამას კი ყველა უნდა ვესწრაფოდეთ, — თანაგრძნობა უნდა გაგვიწიონ და ხელი შეუწყონ ასეთ გადაწყვეტას.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტის გ. შაპიროს კითხვა:

შენარჩუნებულ იქნება თუ არა სტატუს-კვო ბერლინში შემდეგ უმაღლესი დონის თათბირამდე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. საკითხი მეტად განყენებულად არის დასმული. ჯერ-ერთი იქნება თუ არა ეს უმაღლესი დონის თათბირი? თუ საკითხს დავსვამთ ისე, როგორც სვამს ბატონი შაპირო, გამოდის, რომ მე უნდა დავდო პირობა სტატუს-კვოს შენარჩუნების შესახებ, მაგრამ არავინ იცის, რომელ წელს და რა რიცხვში იქნება თათბირი? ეს იქნებოდა იმის მომასწავებელი, რომ სულაც არ დაიდოს საბავო ხელშეკრულება გერმანიასთან. თუ ეს საკითხი ისე იქნება გაგებული, როგორც ჩვენ გვესმის რომ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ გაიმართება უმაღლესი დონის თათბირი, ჩვენ ზუსტად შევასრულებთ ჩვენს სიტყვას. მაგრამ თუ დავინახავთ, რომ არა სურთ უმაღლესი დონის თათბირის მოწყობა, შვეიცარები, რომლებიც დგანან იმ პოზიციებზე, რომ [illegible] საბავო ხელშეკრულება, დაბოლოს ანგარიშს გაუწევენ [illegible] ხელს შეუშლიან ამ საქმეში, ჩვენ ვერ დავთმობთ ჩვენს პოზიციებს. ჩვენ ვიცით, რა გვინდა, ჩვენ ვიცით, რა გვსურ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. პირველი გამოვიდა პორტუგალიის დელეგაციის მეთაური გასკო ვიერა გარინი, რომელმაც წარმოთქვა ვრცელი და უშინაარსო სიტყვა. პორტუგალიის დელეგატმა მოუწოდა გენერალურ ასამბლეას არ წამოაყენოს მწვავე საკითხები, რაღგანაც ამას, შეუძლია დაბარკალოს „ჰარმონიის მიღწევა". ვასკო გიერა გარინმა ზოგადი გამოთქმებით აღიარა, რომ საჭიროა განხორციელდეს განიარაღება. შეეხო რა კონგოში არსებულ მდგომარეობას, პორტუგალიის დელეგატმა ქება-დიდება შეასხა „სპობრძესა და უნარს", რაც ჰამარშელდმა გამოიჩინა კონგოში. ვიერა გარინი შეეცადა გაემართლებინა პორტუგალიელ ხელისუფალთა მკაცრი და არაადამიანური პოლიტიკა პორტუგალიის აფრიკულ კოლონიურ სამფლობელოებში.

შემდეგ გამოვიდა ჩანკაიშელი.

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინდელი დილის სხდომის ბოლოს გამოვიდა იტალიის წარმომადგენელი სად აქმდ ზადარა. მან განაცხადა, რომ ორივე მხარე უნდა ეცადოს, რათა დასახოს გზა მოლაპარაკებისა განიარაღების შესახებ. უნდა ვესწრაფოდეთ საყოველთაო განიარაღებას, თქვა მან, მაგრამ უახლოესი ამოცანა უნდა იყოს უბრალო და დასჯერდეს ნაწილობრივ განიარაღების კონტროლის გარკვეული ოდენობით.

ზადარამ განაცხადა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ახლო და შუა აღმოსავლეთში კვლავ დაძაბულია. იგი შეეხო პალესტინის პრობლემასა და ომანის ომს, დაგმო სიმკაცრე, რასაც საფრანგეთის ჯარისკაცები იჩენენ ალჟირში, და ის, რომ საფრანგეთის მთავრობას არა სურს შეწყვიტოს კოლონიური ომი ალჟირელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების აღიარების პირობებში.

შემდეგ კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაულ როა გამოიყენა პასუხის უფლება. მან ცხადყო გვატემალის წარმომადგენლის მტკიცებათა და ცილისმწამებლური ხასიათი, რომლებიც მან გააკეთა 5 ოქტომბერს იმის შესახებ, რომ კუბაში მზადდება აგრესიული აქტები გვატემალის წინააღმდეგ. ეს ბრალდებანი თქვა როამ, გვატემალის მთავრობამ დამოუკიდებლად როდი მოიგონა; ისინი ინსპირირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ „იუნაიტედ ფრუტ კომპანიის" კარნახით.

იმის ცდა, რომ კუბის მთავრობა წარმოადგინონ როგორც კომუნისტური, გაუნარძო როამ, ძნისათვის კეთდება, რომ შექმნან ინტერვენციის საბაბი. გვატემალის ტერიტორიაზე იქმნება ამერიკის ბაზები კუბის წინააღმდეგ. გვატემალის ახლანდელმა მთავრობამ მიიღო კუბიდან გაქცეული დიდძალი დანაშაულები და რაზმიდან მათ კუბაში შესაჭრელად.

ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის დილის პლენარული სხდომა.

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის გუშინდელი დღის სხდომა მიეძღვნა აფრიკის ახალი სახელმწიფოს — ნიგერიის ფედერაციის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. ნიგერიის მიღების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახლა 99 ქვეყანაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ნიგერიის ფედერაციის მიღების გამო მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ბევრი სახელმწიფოს, უმთავრესად, აფრიკის, აზიისა და სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა დელეგაციებმა. ტუნისის წარმომადგენლის სიტყვით, ნიგერია გახდება ძლიერი ფაქტორი აფრიკის სტაბილიზაციასა და გაერთიანებაში. განის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, თუმცა ნიგერიის გაძოქვეყნებული სახელმწიფოს სახით „მშვიდობიანი" იყო, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მილიონობით ადამიანი ჯერ კიდევ იტანჯება კოლონიურ ბატონობაში.

საუდის არაბეთის დელეგატმა იმედი გამოთქვა, რომ აფრიკის ყველა ქვეყანა მოიპოვებს დამოუკიდებლობას და ალჟირი გახდება გაერთიანებული ერების მეასე წევრი.

გვინეის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ, რომელიც სესიაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა, სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ აფრიკის სახელმწიფოთა ორი მესამედი, — და არა ერთი მესამედი, როგორც ეს შარშან იყო, — გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. სამწუხაროდ, თქვა მან, აფრიკის ზოგი ხალხი ჯერ კიდევ მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს თავისი წვლილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში, უკეთესი მსოფლიოს აშენების საქმეში. გვინეის პრეზიდენტმა მოუწოდა აფრიკის ყველა ხალხს იძუშაონ მშვიდობის მიღწევისათვის. სეკუ ტურე შეეხო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის საკითხს. დასასრულ სეკუ ტურემ აღნიშნა, რომ აფრიკის ბევრ ქვეყანაში, რომლებმაც ეს-ეს არის მიიღეს დამოუკიდებლობა, ჯერ კიდევ აქტუალურია სუვერენიტეტის პრობლემა.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სახელით გამოვიდა ბელორუსიის დელეგაციის მეთაური კ. ტ. მაზუროვი. მან განაცხადა, რომ სოციალისტური ქვეყნები ყოველთვის იყვნენ ნიგერიის მხარეზე მის სამართლიან ბრძოლაში საუკუნოვანი კოლონიური მონობისაგან გათავისუფლებისათვის. აფრიკის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, თქვა მან, კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ სამარცხვინო კოლონიური სისტემის არსებობის საკითხი ისტორიულად წინასწარ გადაწყვეტილია, და მთის არ არის ის დღე, როცა მრავალტანჯული აფრიკა მთლიანად თავისუფალი იქნება ყველა ფორმის კოლონიური დამოკიდებულებისაგან.

ადვილი როდი იყო ნიგერიის დამოუკიდებლობის მოპოვების გზა. ნიგერიელმა ხალხმა ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე უნდა გადალახოს, რომ აღმოფხვრას ეკონომიური ჩამორჩენილობა — კოლონიზატორთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგი. ნიგერია უძველესი ქვეყანაა, რომელსაც მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა აქვს. ამავე დროს ეს დიდი ქვეყანაა 35 მილიონიანი მოსახლეობით, რომელსაც უდიდესი ბუნებრივი რესურსები და შესაძლებლობანი მოეპოვება. ეს რესურსები ახლა უნდა ეკუთვნოდეს თვით ნიგერიელ ხალხს. ეს ყოველი ხალხის არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

ა. ტ. მაზუროვმა რწმენა გამოთქვა, რომ ნიგერიის ხალხები სწრაფად დაძლევენ სიძნელეებს თავიანთი ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის, კოლონიზატორთა ბატონობის შედეგების ლიკვიდაციის გზაზე. ჩვენ სულითა და გულით ვუსურვებთ ნიგერიის ხალხს, თქვა მან, ეროვნულ აყვავებასა და დემოკრატიულ განვითარებას.

დასასრულ ა. ტ. მაზუროვმა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა სახელით იმედი გამოთქვა, რომ ნიგერიის ფედერაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობით შეიტანს თავის წვლილს საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეში.

სხდომის ბოლოს საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნიგერიის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ბალევა აბუბაქარ ტაფავამ. თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მან მიუძღვნა აფრიკის, და ქერძოდ, კონგოს პრობლემებს. მან განაცხადა, რომ მხოლოდ აფრიკის სახელმწიფოებს შეუძლიათ მოაგვარონ მდგომარეობა კონგოში, და ამასთან დაკავშირებით წინადადება შეიტანა შეიქმნას კომისია, რომელიც გულდასმით შეისწავლის კონგოს რესპუბლიკის ტრაგიკული ამბების მიზეზებს. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ ამირებს მიემხროს რომელიმე ბლოკს და არასოდეს არ მოახვევს თავის ნებას ვინმეს და არასოდეს არ დაემუქრება აფრიკის რომელიმე ტერიტორიას.

მორის ტორეზის ინტერვიუ

ბერლინი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა გაზეთ „ნიიეს დოიჩლანდს" მისცა ინტერვიუ, მიძღვნილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 11 წლისთავისადმი. ფრანგი კომუნისტების ხელმძღვანელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მუშებისა და დემოკრატებისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობამ ახალი ერა დაიწყო გერმანელი და ფრანგი ხალხების ურთიერთობაში. გერმანიის ისტორიაში პირველად შეიქმნა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელიც უარყოფს მილიტარიზმს და საქმით ადასტურებს თავის მისწრაფებას შეუძლებელი გახადოს ომი ევროპის ცენტრში.

მორის ტორეზმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გახდა ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის იდეალებისადმი ერთგულების გამოხატულება, გერმანელი ხალხის ჯანსაღი ძალების ნების გამოხატულება უზრუნველყონ მომავალი მშვიდობის, კეთილდღეობისა და სოციალური პროგრესის პირობებში.

მან აღნიშნა, რომ, მიუხედავად საფრანგეთის მთავრობის ყველა ღონისძიებისა ხელი შეუშალოს ამას, საფრანგეთში მასებს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური რწმენის დემოკრატიულად გმობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უგულებელყოფის პოლიტიკას და მოითხოვენ საფრანგეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებას. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ყოველმხრივი ურთიერთობის განვითარებას. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უფლება აქვს იყოს ცნობილი. საფრანგეთის მშრომელები მანამდე არ დამშვიდდებიან, სანამ ეს რეალობა არ გახდება, ხაზგასმით აღნიშნა მორის ტორეზმა.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ ბონელი გენერლების ეგრეთწოდებულმა „მემორანდუმმა", რომელიც ადენაუერის მთავრობამ მოიწონა, საფრანგეთში გამოიწვია გულისწყრომა და შეშფოთება. ფრანგები, ხაზგასმით აღნიშნა მორის ტორეზმა, მეტად შეშფოთებულ არიან იმ ფაქტით, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა აყენებს მოთხოვნას საზღვრების გადასინჯვის შესახებ.

მორის ტორეზმა დაგმო საფრანგეთის მმართველი წრეების მოქმედება, რომლებიც დასავლეთ გერმანიის უთმობენ საფრანგეთის ტერიტორიას მის მიზნებით მისი გამოყენებისათვის.

როგორც ტორეზმა აღნიშნა, საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოითხოვს გერმანიის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას, ხაზს ხელშეკრულების დადებას ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან. დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციას.

მორის ტორეზი მიესალმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმს განიარაღების საკითხზე და განაცხადა, რომ ეს მემორანდუმი სავსებით შეეფერება იმ წინადადებათა სულისკვეთებას, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. წინადადებებს, რომლებმაც უველა ხალხს დიდი იმედი გაუღვიძა.

ფრანგ კომუნისტებს მიაჩნიათ, აღნიშნა მორის ტორეზმა, რომ მათთვის არ არსებობს იმაზე უფრო აუცილებელი ამოცანა, ვიდრე ბრძოლა განიარაღებისა და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

სუკარნოს განცხადება

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ნიუ-იორკიდან გამგზავრების წინ ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ უკანასკნელი კვირის ამბებმა იგი დაარწმუნეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა უნდა გადაისინჯოს და მოდერნიზებულ იქნას. ჩვენ ინდონეზიაში, თქვა მან, მტკიცედ გვჯერა გადწყვეტილი ვიბრძოლოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიანობისათვის. სუკარნომ დადებით შეფასება მისცა შესვედრებსა და თათბირებს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს შორის, რომლებიც ნიუ-იორკში მოხდა. ასეთ მეგობრულ დისკუსიებს, თქვა მან, დიდი წვლილი შეაქვს სხვა მხარეების პრობლემებისა და სიძნელეების გაგებაში.

უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, სუკარნომ კვლავ გამოთქვა რწმენა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რეორგანიზებულ უნდა იქნას. მან აგრეთვე თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინა გადატანილ უნდა იქნას სხვა ქვეყანაში, და ამასთან დაკავშირებით დაასახელა შვეიცარია.

უთანხმოებათა გამწვავების ვითარებაში

გონი, 7 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი გადმოგვცემს: დღეს აქ ორი დღის გეზიტად ჩამოვიდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი დებრე, რომელსაც ახლავს საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი. ესახი მოლაპარაკებას გაამართავენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ბრენტანოსთან.

ამ ვიზიტთან დაკავშირებით ბონის პოლიტიკურ წრეებში არ მალავენ, რომ მომავალი მოლაპარაკება „ძნელი" იქნება. ამის მიზეზია უკანასკნელ კვირებში ბონსა და პარიზს შორის გამწვავებული უთანხმოება ბატის და ევროპრობლემი „ევროპის პოლიტიკის" საკითხებში. ბონის განსაკუთრებული მკვეთრი წინააღმდეგობა გამოიწვია საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლის წინადადებებმა ბატის „რეფორმის" შესახებ. ამასთან, როგორც პოვის კომენტატორებიდან ჩანს, საქმე ეხება აშკარა მეტოქეობას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთს შორის იმის საკითხზე, თუ ვის უნდა ჰქონდეს მეტი გავლენა დასავლეთის სამხედრო პოლიტიკის განსაზღვრაში. სწორედ ამიტომ დასავლეთ გერმანიის მთავრობამ კატეგორიულად უარყო დე გოლის წინადადება, რომ შეიქმნას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის „დირექტორიუმი" ნატოში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ბონი მზად არის გადასინჯოს ნატოს „სტრუქტურა". „სტრუქტურის" გადასინჯვის საფარველით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ამირეს მიაღწიოს თავისი პოზიციების გაძლერებას ნატოს სარდლობაში. დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი გაზეთი გადაცრით აღნიშნავდა, გარდა ამისა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ისწრაფვის ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით ნატოში მიიღოს ხმის უფლება ატომური იარაღის გამოყენების საკითხში, მოკლედ რომ ვთქვათ, ბონი მზად არის დაეთანხმოს ნატოს „რეფორმის" საფრანგეთის გეგმებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს განმტკიცებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოზიციებს ნატოში და ხელს უწყობს დასავლეთ გერმანიის შემდგომ შეიარაღებას.

არანაკლებ სერიოზულია ბონისა და პარიზის უთანხმოება „ევროპის პოლიტიკის" დარგში. ეს უთანხმოება მჭიდროდ დაკავშირებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნების შორის ეკონომიურ წინააღმდეგობებთან.

როგორც გაზეთის მიმომხილველები და კომენტატორები აღნიშნავენ, არავითარი საბოლოო გადაწყვეტილება დაწყებულ მოლაპარაკებაში არ იქნება მიღებული. მოლაპარაკებას ექნება „საინფორმაციო ხასიათი". დასავლეთ გერმანიის გაზეთების უმრავლესობა სკეპტიკურად ეპყრობა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკებას. გაზეთი „დი ველტი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „კონრად ადენაუერი უსიამოვნო გრძნობით ელოდება პრემიერ-მინისტრ დებრესთან მოლაპარაკებას".

სუკარნო რომში ჩავიდა

რომი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს რომს ჩამოვიდა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო, რომელიც სამშობლოში ბრუნდება ნიუ-იორკიდან, სადაც მონაწილეობას იღებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში.

პრეზიდენტი სუკარნო რომში დარჩება რამდენიმე დღეს არაოფიციალურ ვიზიტად.

საერთაშორისო ცხოვრება

გაუნდესვერი ომისათვის ემზადება

ბონი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის მიტინგზე ოლდენბურგში გამოვიდა ბონის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი, რომელმაც განაცხადა, რომ ჯარების მოტორიზაციის თვალსაზრისით ბუნდესვერს ამჟამად მეორე ადგილი უკავია ნატოში ამერიკის ჯარების შემდეგ. მისი სიტყვით, განუწყვეტლივ წარმოებს მუშაობა თანამედროვე იარაღით ბუნდესვერის აღჭურვისათვის.

როგორც დპა-ს საagენტო იუწყება, შტრაუსმა შემდეგ განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის კანონით გათვალისწინებული 12 დივიზიის ნაცვლად ამჟამად მხოლოდ 6 დივიზიაა შექმნილი. ამ ფაქტით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აყენებს მოთხოვნას საზღვრების გადასინჯვის შესახებ.

მორის ტორეზმა დაგმო საფრანგეთის მმართველი წრეების მოქმედება, რომლებიც დასავლეთ გერმანიის უთმობენ საფრანგეთის ტერიტორიას მის მიზნებით მისი გამოყენებისათვის.

როგორც ტორეზმა აღნიშნა, საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოითხოვს გერმანიის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას, ხაზს ხელშეკრულების დადებას ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან. დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციას.

მორის ტორეზი მიესალმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმს განიარაღების საკითხზე და განაცხადა, რომ ეს მემორანდუმი სავსებით შეეფერება იმ წინადადებათა სულისკვეთებას, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. წინადადებებს, რომლებმაც უველა ხალხს დიდი იმედი გაუღვიძა.

ფრანგ კომუნისტებს მიაჩნიათ, აღნიშნა მორის ტორეზმა, რომ მათთვის არ არსებობს იმაზე უფრო აუცილებელი ამოცანა, ვიდრე ბრძოლა განიარაღებისა და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

საგრალდებო დასკვნა მენდერესის სროვის საქმეზე

ანკარა, 7 ოქტომბერი. (საკდესი). უმაღლესმა სამხედრებელო კომისიამ დამოკვეთა საბრალდებო დასკვნა იმ დანაშაულობათა საქმეზე, რომლებიც ჩაიდინა ყოფილი პრემიერ-მინისტრის მენდერესის ხროვამ. კომისია მოითხოვს, რომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ 71 კაცს, მათ შორის მენდერესს, ყოფილ პრეზიდენტს ბაიარს, მეჯლისის ყოფილ თავმჯდომარე კორალტანს, მის მოადგილეს, მთავრობის დემოკრატ წევრებს, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის საქმიანობის გამომკვლევი კომისიის წევრებს, გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს ერდელ ხუნს, ანკარისა და სტამბოლის ყოფილ გუბერნატორებსა და სხვ.

სუკარნო რომში ჩავიდა

რომი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს რომს ჩამოვიდა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო, რომელიც სამშობლოში ბრუნდება ნიუ-იორკიდან, სადაც მონაწილეობას იღებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში.

პრეზიდენტი სუკარნო რომში დარჩება რამდენიმე დღეს არაოფიციალურ ვიზიტად.

იაპონიის პროფკავშირების პროტესტი

ტოკიო, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაკთა სრულიად იაპონიის პროფკავშირმა უარი თქვა მომსახურება გაუწიოს ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდებს, რომლებიც იაპონიის ნავსადგურებში შემოდიან.

როგორც კიკანსი ცუსინის პროფკავშირული საგანეთი იუწყება, სექტემბრის დამდეგს მე პროფკავშირის ბრძოლის კომიტეტმა პროფკავშირის ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად ტელეფონ-ტელეგრაფის კორპორაციის ადმინისტრაციას გაუცხადა, რომ უარს ამბობს კავშირი დაიშალოს ამერიკის სამხედრო ხომალდების ნავსადგურების რეიდზე დგომაზე.

ტოკიოს, იოკოჰამის, იოსოუკას და მთელი რიგი სხვა ნავსადგურების კავშირგაბმულობის მუშაკებმა, ასრულებენ ამ ყრილობის გადაწყვეტილებას, შეწყვიტეს ამერიკის სამხედრო ხომალდების მომსახურება.

საagენტო აღნიშნავს, რომ ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაკთა ამ პროფკავშირის ყრილობის გადაწყვეტილება, რომელშიც 150 ათასი წევრი შედის, მიღებულ იქნა იოკოსუკას, კობესა და სხვა ქალაქების მცხოვრებთა საბრალდებო დემონსტრაციების შედეგად, რომლებიც ელაშქრებენ ამერიკის მე-7 ფლოტის სომხედრო ხომალდების მათს ნავსადგურებში შემოსვლის წინააღმდეგ, ფლოტისა, რომელმაც «იაპონია ატომგულის იარაღის ბაზად გადააქცია».

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს უშიშროების საბჭომ განიხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნიგერიის ფედერაციის მიღების საკითხი. უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ურჩევს გენერალურ ასამბლეას მიიღოს ნიგერიის ფედერაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

კვლავ ამერიკის მუშტი

თეირანი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). „ამერიკის შეცდომების პოლიტიკა" — ასეთი სათაურით გაზეთმა „დონიე ჯადიდმა" გამოაქვეყნა მოწონებე სტატია, რომელშიც აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტს.

ამერიკის პოლიტიკის დიდი შეცდომა, განსაკუთრებით სუსტად განვითარებულ ქვეყნებში და იმ ქვეყნებში, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს დამოუკიდებლობა, წერს გაზეთი, ის არის, რომ ამერიკელები ხელოვნურად ქმნიან თავიანთ მოკავშირეებს და ცდილობენ ამ მოკავშირეების ხელით ამა თუ იმ ქვეყნების ხელში ჩაგდებას. ეს ამერიკელი მეგობრები, ხაზგასმულია სტატიაში, ბრძოლას ემორჩილებიან ამერიკის პოლიტიკის და არავითარი გავლენით არ სარგებლობენ თავიანთ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა მათ მართავს მათი ძველი ბატონი ამერიკული მუშტი.

„ამერიკელთა ამგვარმა მოქმედებამ, — დაასკვნის გაზეთი, — ახლის მცირე ქვეყნების ნაციონალისტურ წრეებზე მოახდინა ამერიკისათვის ერახელაყრელი გავლენა".

შემდეგ გაზეთი აკრიტიკებს სუსტად განვითარებული ქვეყნების მილიტარიზაციის ამერიკულ პოლიტიკას, რაც დამატებით სიძნელეებს უქმნის ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას. მაგალითის სახით გაზეთს მოყავს მდგომარეობა ირანის მეზობელ ქვეყანაში — თურქეთში, სადაც „ამერიკელთა დანაშაულით ეკონომიკა დაქვეითდა და საყოველთაო უკმაყოფილების შედეგად ამერიკელთა მორჩილი მთავრობა დამხობილი აღმოჩნდა".

გაზეთი „ტაჯადოდე ირანი" ამერიკის პოლიტიკას უწოდებს შეცდომების პოლიტიკას და წერს: „თუ ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპია ნამდვილი დემოკრატიისა და სხვა სახელმწიფოთა სამინაო საქმეებში ჩაურევლობის მხარდაჭერა, როგორ შეიძლება აიხსნას მისი კურსი ესპანეთის რეჟიმის მიმართ. განა ის, რომ მას არა სურს ცნოს კომუნისტური ჩინეთი, არ ეწინააღმდეგება ამ პრინციპებს?" — კითხულობს გაზეთი.

იაპონიის პროფკავშირების პროტესტი

ტოკიო, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაკთა სრულიად იაპონიის პროფკავშირმა უარი თქვა მომსახურება გაუწიოს ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდებს, რომლებიც იაპონიის ნავსადგურებში შემოდიან.

როგორც კიკანსი ცუსინის პროფკავშირული გაზეთი იუწყება, სექტემბრის დამდეგს მე პროფკავშირის ბრძოლის კომიტეტმა პროფკავშირის ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად ტელეფონ-ტელეგრაფის კორპორაციის ადმინისტრაციას გაუცხადა, რომ უარს ამბობს კავშირი დაიშალოს ამერიკის სამხედრო ხომალდების ნავსადგურების რეიდზე დგომაზე.

ტოკიოს, იოკოჰამის, იოსოუკას და მთელი რიგი სხვა ნავსადგურების კავშირგაბმულობის მუშაკებმა, ასრულებენ ამ ყრილობის გადაწყვეტილებას, შეწყვიტეს ამერიკის სამხედრო ხომალდების მომსახურება.

საagენტო აღნიშნავს, რომ ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაკთა ამ პროფკავშირის ყრილობის გადაწყვეტილება, რომელშიც 150 ათასი წევრი შედის, მიღებულ იქნა იოკოსუკას, კობესა და სხვა ქალაქების მცხოვრებთა საბრალდებო დემონსტრაციების შედეგად, რომლებიც ელაშქრებენ ამერიკის მე-7 ფლოტის სომხედრო ხომალდების მათს ნავსადგურებში შემოსვლის წინააღმდეგ, ფლოტისა, რომელმაც «იაპონია ატომგულის იარაღის ბაზად გადააქცია».

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს უშიშროების საბჭომ განიხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნიგერიის ფედერაციის მიღების საკითხი. უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ურჩევს გენერალურ ასამბლეას მიიღოს ნიგერიის ფედერაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

ხრუშჩოვის წიგნისთვის

პროგრესულმა ფრანგულმა ყოველკვირეულმა „ფრანს ნუველმა" ამას წინათ პირველ გვერდზე მოათავსა ფოტომონტაჟი, რომელიც გამოსახავს ნ. ს. ხრუშჩოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის ფონზე ნიუ-იორკში, და მას დაურთო ცნობილი ვიქტორ ჰიუგოდან: „ახლა მზადდება უმაგალითო ორთაბრძოლა ომისა, რომელიც სწყურია წარსულს, და მშვიდობისა, რომელიც სწყურია აწმყოს".

ცნობილი და ფოტომონტაჟით ყურადღებას სურდა ხატოვანად განემარტა იმ მოვლენების ძირითადი აზრი, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ხდება. „ფრანს ნუველის" ჩანაფიქრს გამჭრიახობა არ აკლია.

სესიაზე გაშლილ საერთო დისკუსიას რომ ჩავუფიქრდეთ, გვებადება აზრი: გენერალური ასამბლეა დღეს გახდა ჭეშმარიტად უმაგალითო ორთაბრძოლა წარსულის ძალების, რომლებსაც ასახიერებენ ამერიკის შეერთებული შტატების მძართველი წრეები და რომლებიც ქაცობრობის უბიძგებენ ომისაკენ, და აწმყოს ძალებისა, რომლებიც იცავენ მშვიდობას და რომლებსაც შთააგონებს საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი. პირველობის პალმა ორთა ბრძოლაში სულ უფრო იხრება აწმყოს ძალების მხრისაკენ. მათ ასამბლეის წინაშე დასახეს თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების უაღრესად საჭირბოროტო პრობლემები და უჩვენეს მათი გადაჭრის გზები მშვიდობის ინტერესებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სამი კვირის მუშაობამ მშვიდობის ძალებს მოუტანა მთელი რიგი არსებითი წარმატებანი. მათს რიცხვს ეკუთვნის ასამბლეის ახლანდელი სესიის გადაქცევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველაზე წარმომადგენლობით ფორუმად.

ასამბლეის XV სესიის ცოტა ხნით ადრე გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰერტერის განცხადება, რომელმაც „სასაცილო" უწოდა საბჭოთა კავშირის წინადადებას სესიაზე სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მონაწილეობის შესახებ. ხოლო ეი რას წერდა იგივე გაზეთი 2 ოქტომბერს: „გენერალურ ასამბლეას შეუძლია სიამაყით აჩვენოს 10 სახელმწიფოს მეთაური ი ხ, მათ შორის ერთი მეფის, და 18 პრემიერ-მინისტრის სია, თუ არ ჩავთვლით 57 საგარეო საქმეთა მინისტრსა და დაახლოებით 14 სხვა მინისტრს. არასოდეს ამისი მსგავსი არაფერი ნახულა არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და არც ერთა ლიგაში, ეს ყველაფერი მოაწყო ხრუშჩოვმა, რადგან მისგან მომდინარეობდა წინადადება, რომ ყოველ ქვეყანას გენერალურ ასამბლეაში წარმოადგენდეს პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი".

ასამბლეის ესოდენ წარმომადგენლობითი შემადგენლობა შესაძლებელს ხდის გადაიჭრას უაღრესად რთული პრობლემები. ითვალისწინებენ რა ამას, მშვიდობის ძალებმა ასამბლეის მთელი ყურადღება მიაქციეს ისეთ ამოცანებს, როგორიცაა: კოლონიალიზმის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია, ხრული და საყოველთაო განიარაღება, სხვა ქვეყნების მიმართ ამერიკის აგრესიული მოქმედების პოლიტიკის შეწყვეტა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის" განხილვის დროს 1956 წელს იგი ხელს უწყობდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მტრებს. როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა 1958 წელს დაიწყეს ინტერვენცია ლიბანსა და იორდანიაში, ჰამარშელდი მოითხოვდა არა ამ სახელმწიფოებიდან უცხოთის ჯარების გაყვანას, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეებში. 1959 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, რომელიც ლაოსში გაემგზავრა, ცდილობდა ჩარეულიყო ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში, რათა მხარი დაეჭირა ავგრესიული ძალებისათვის, რომლებიც ემსახურებიან ამერიკის მონოპოლიებს.

გაერთი

ვ. ჭაბუკიანი: ახლა მთავარია „დემონი“



ბალეტის გამოჩენილი ოსტატის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს დიად სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებული პოპულარობა ამ დიდ შემოქმედს მოუპოვა ბალეტმა „ოტელომ“, რომლის განსორციელებაც თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სცენაზე საბჭოთა ხელოვნების ტრიუმფი იყო.

ამ დღეებში ვ. ჭაბუკიანმა კიდევ ახალი შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა. ეს არის ფილმი-ბალეტი „ოტელო“, სადაც ჭაბუკიანი გვევლინება როგორც ფილმის დამდგმელი რეჟისორი, ბალეტმეისტერი და მთავარი როლის შემსრულებელი.

ჭაბუკიანის სახელზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოდის მრავალი წერილი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

ჩვენი ინტერვიუ

ეს წერილები შეიცავენ მის მიწვევას, თბოვნას, რომ საბელეთმოქმედმა ქართველმა ქორეოგრაფმა მათს სცენებზე განახორციელოს ბალეტების დადგმები, რომ იხილონ ბალეტის ამ შესანიშნავი ოსტატის ცეკვა.

ბევრს აინტერესებს, რაზე მუშაობს ამჟამად სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი ვახტანგ ჭაბუკიანი, რა გეგმები აქვს მომავლისათვის.

— ჩემი მთავარი სამუშაო ამჟამად, — ბვითხრა მან საუბარში, — ბალეტ „დემონის“ შექმნაა.

მიხეილ ლერმონტოვის უკვდავი პოემა „დემონი“ ყოველთვის მაღელვებდა და მიტაცებდა. ოცნებად მქონდა გადაქცეული მისი ქორეოგრაფიული ენით ამეტყველება. და აი ახლა უკვე ბალეტ „დემონის“ ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრებული მაქვს.

კომპოზიტორ სულხან ციცაძესთან ერთად, რომელმაც ბალეტისათვის დაწერა მუსიკა, კარგა ხანს ვმუშაობდი „დემონზე“, მის მთავარ მოტივებზე. 10 ოქტომბრიდან კი მუშაობას ვიწყებ უკვე ჩვენი თეატრის საბალეტო ჯგუფთან ერთად.

თბილისში, — განაგრძობს ვ. ჭაბუკიანი, — საგასტროლოდ ამას წინათ იქყოფებოდნენ ამერიკის ბალეტის მსახიობები. მათ მთხოვეს დახმარება ბალეტ „ეიზელის“ დადგმაში. ამისათვის მიმიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიწვევები მაქვს აგრეთვე ბრიუსელში, სადაც მარტში უნდა ვიმუშაო ბალეტ „ოტელოს“ დადგმაზე. მიწვეული ვარ აგრეთვე უნგრეთში და სხვა ქვეყნებში. მაგრამ ამჟამად უცხოეთში გამგზავრება არ მინდა, რადგან ჩემი მთავარი ამოცანაა „დემონის“ მომზადება.

თბილისელები ნახავენ, მოისმენენ

21 ოქტომბერს ოპერა „დაისით“ გაიხსნება სეზონი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

მომდინარე სეზონში თეატრი განახორციელებს რამდენიმე ახალ დადგმას. დაიდგმული იქნება კომპოზიტორ შალვა მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“. ლიბრეტო კონსტანტინე გამსახურდიასი და ქუჯი ძიძიშვილისა. მუსიკალური ხელმძღვანელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოდისეი დიმიტრიადი; დამდგმელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ტაბლიაშვილი; მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. სუმბათაშვილი.

საყურადღებო დადგმაა კომპოზიტორ აკაკი ანდრიაშვილის ოპერა „ჯვავი“. ლიბრეტო მიხეილ მრევლიშვილისა, ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. მუსიკალური ხელმძღვანელია ოდისეი დიმიტრიადი; დამდგმელი — გივი გაჩეჩილაძე. მხატვარი — ვანო ასკურავა.

ნავარაუდევია აგრეთვე დაიდგას ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“, კონსტანტინე მელიქიშვილის ოპერა „დავით გურამიშვილი“ (ლიბრეტო შალვა დადიანისა და როდიონ ჭორქიასი).

დაიდგმება კომპოზიტორ სულხან ციცაძის ახალი ბალეტი — სპექტაკლი „დემონი“. სპექტაკლის ავტორი, დამდგმელი და მთავარი როლის შემსრულებელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი. განახლდება გრიგოლ კოლაძის ბალეტ „სინათლისა“ და პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „შელკუნჩიკის“ დადგმები.

გარდა ძირითადი შემადგენლობისა, სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნების ახალგაზრდა არტისტული ძალები. მთელი სეზონის განმავლობაში თეატრის სპექტაკლებში გამოვლენ საბჭოთა კავშირისა და სახელვარგარეთელი გამოჩენილი არტისტები, მათ შორის სსრ კავშირის სახალხო არტისტები მაია პლისეცკაია, რაისა სტრუჩკოვა, ვახტანგ ჭაბუკიანი; რსფსრ სახალხო არტისტები ვერონიკა დუდინსკაია, გალინა ვიშნევსკაია, ბორის ბრეგვაძე; რსფსრ დამსახურებული არტისტი ალექსანდრე ლაფაური, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე და სხვები.

საზღვარგარეთელი გასტროლიორებიდან ნავარაუდევია, რომ გამოვლენ: ზინაიდა ჰალი, ედეხა ჩერნეი, ლივია ლისიანუ, ნიკოლოზ ხერლა, სტანისლავ კონია, გარბის ზობინი, იონ პოპო, ნიკოლო ნიკოლოვი, დიმიტრი უზუნოვი, პრაღის ეროვნული თეატრის ცნობილი ბახი გ. გაკენი და სხვები.

მოსალოდნელია პარიზის თეატრ „გრანდ-ოპერას“ ბალეტის, უნგრეთის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და საზღვარგარეთის სხვა თეატრების თეატრსახენო მსახიობთა გასტროლები. ჩვენი დედაქალაქის მუსიკის მოყვარულნი ნახავენ აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკების ოპერის თეატრების საუკეთესო მსახიობებს სხვა თეატრებში ჩვენი თეატრის არტისტული. ძალების გამოსვლათა გაცვლის წესით.

ბალეტი „ოტელო“ დაიდგმება ყველა სააბონემენტო სპექტაკლებს შორის.

სეზონის განმავლობაში დასახულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთელი რიგი მსახიობების გამოსვლები საზღვარგარეთ. ზოგი მათგანი ადრეც გამოვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ქართველი მსახიობები საგასტროლოდ წავლენ ინდოეთში, ფინეთში და სხვა ქვეყნებში.

ს. პოლიანოვი.

მკითხველის სამსჯავროზე

ახალახან სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა კლიმენტი გოგიაშვილის მთხრობების კრებული „ნამუსის ქუდი“.

წიგნში დაბეჭდილია ხუთი მოთხრობა — „ბაზართი“, „ფირუზის საყური“, „თბილისის ზღვა“, „დედა“ და „ნამუსის ქუდი“.

კრებულის რედაქტორია ბ. მირცხულავა, მხატვარი ა. ვეფხვაძე. ტირაჟი 10.000 ფასი 4 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ გამოსცა ერთ-ერთი უძველესი საბჭოთა ალპინისტის ირაკლი ლეკიშვილის წიგნი „ალპინისტის ჩანაწერები“. წიგნი შეიცავს ი. ლეკიშვილის მოგონებებს მწვერვალების დაპყრობაზე შვეიცარაში, საბჭოთა კავშირში, მასობრივ ასვლაზე ყაზბეგზე და ა. შ.

წიგნის რედაქტორია მ. ლობჟანიძე, მხატვარი ნ. ჩრნიშკოვი. ტირაჟი 3000. ფასი 1 მან. 80 კაპ.

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს“ გამარჯვება

„დინამო“ (თბილისი) — „ალმირალტეიცი“ (ლენინგრადი) — 3 : 2 (2 : 1). თბილისი, 8 ოქტომბერი, „ბურევესტნიკის“ სტადიონი. მსაჯი — ს. არხიპოვი (მოსკოვი).

„ალმირალტეიცი“ — ფარიკინი, კურზინერი, სპირიდონოვი, გოლუბევი, მოროზოვი, ვ. ვასილიევი, ცარიცინი (ვინოგრადოვი), სვეშნიკოვი, ბელკინი, ვარლამოვი, ა. ვასილიევი.

„დინამო“ — კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოკოლავა, ზვინკლიშვილი, დათუნაშვილი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, კურტანიძე.

თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ალმირალტეიცის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები გუშინდელ თამაშამდე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან ორი მატჩი თბილისელებმა მოიგეს, ხოლო ერთი — ლენინგრადელებმა. ამ მატჩისადმი ინტერესი იმითაც იყო გამოწვეული, რომ ეს გუნდები საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორე ფინალურ ჯგუფში ლიდერობენ.

თამაშის დაწყებისთანავე იგრძნობოდა, რომ მასპინძლები სტუმრებს სჯობნიდნენ როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკური ჩანაფიქრითაც. თბილისელებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიშები ლენინგრადელთა საჯარიმო მოედანზე და უკვე თამაშის დაწყებიდან მეოთხე წუთზე კარიდან დაახლოებით 22 მეტრის მანძილზე სტუმრები დაჯარიმდნენ. ზუურ კალოევმა გაუგზავნა ბურთი იქვე მდგომ მარჯვენა გარემარბს თენგიზ მელაძვილს, რომელმაც უძლიერესიც დარტყმით გაიტანა ბურთი კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში.

დინამოელები მთელი ენერგიით უტევენ მოწინააღმდეგეს. შორი მანძილიდან შესანიშნავად ურტყამს ნახევარმცველი ილია დათუნაშვილი, მაგრამ მეკარე ფარიკინი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ოცდამეორე წუთზე სტუმრები დინამოელთა კარს მარცხენა ფრთიდან მიუახლოვდნენ. აქ სიჭინავამ უხერხემლოდ მიცდომა დაუშვა, რომელიც კარგად გამოიყენა მარცხენა გარემარბმა ა. ვასილიევმა და ანგარიში გაათანაბრა.

მარჯვენა ფრთიდან თბილისელთა ერთერთი შეტევის დროს მელაშვილი კარგად გავიდა მცველებს შორის, ბურთი ჩაუწოდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, რომელიც კალოევმა თავური დარტყმით გაახვია ბადეში.

თამაშის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში უკვე აშკარად ჩანდა დინამოელთა უპირატესობა. ორმოცდამეცხრამეტე წუთზე მოთა იამანიძე მარცხენა ფრთიდან შესანიშნავად გადის ლენინგრადელთა სამ მცველს შორის, აწოდებს ბურთს მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ ამ რეალურ შესაძლებლობას თავდამსხმელები ვერ იყენებენ. მასპინძლები უფრო და უფრო უტევენ მოწინააღმდეგის კარს, მაგრამ უშედეგოდ. მარჯვენა ფრთიდან იამანიძე-ბარქაია-კალოევმა გაითამაშეს მეტად ლამაზი კომბინაცია, რომელიც უკანასკნელმა გოლით დაასრულა. ორი წუთის შემდეგ სტუმრებმა შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა.

ამრიგად მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 3 : 2. ამ თამაშში ისე, როგორც მოსკოვის სპარტაკელებთან შეხვედრის დროს, დინამოელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის უპირატესობა.

• • •

ერევანი. 8 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა მეორე ფინალური ჯგუფის გუნდების ოსტატ ფეხბურთელთა მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და რიგის „დაუგავა“. მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1 : 1.

ფინალისტები გამორკვეულია

საქართველოს 1960 წლის პირველობაზე ფეხბურთში 24 გუნდი იბრძვის, რომლებიც გაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად — თვითეულში თორმეტ-თორმეტი გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეჯგუფებში რამდენიმე მატჩი დარჩა ჩასატარებელი, უკვე გამოირკვნენ ფინალისტები.

პირველი ქვეჯგუფიდან დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ლანჩხუთის „გურიამ“ და ტყიბულის „შახტორმა“, ხოლო მეორიდან — თბილისის „სინთლემ“ და ქუთაისის „ომერეთმა“.

გამარჯვებულთა ფინალური შეხვედრები გაიმართება ორ წრედ და დაიწყება 9 ოქტომბრიდან.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექცია ორშაბათს, 10 ოქტომბერს აწყობს შეხვედრას საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან, რეჟისორ-ოპერატორ გ. ახათიანთან თემაზე:

„კინოპარატით აზიის, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში“.

შეხვედრა გაიმართება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქუჩა, 14) საღამოს 7 საათზე.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექცია.

სამხრეთ-ოსეთის ხიდერისა და ცაკვის სახელმწიფო ანსამბლი გასტროლიდან დაბრუნდა

სამხრეთ-ოსეთის ხიდერისა და ცაკვის სახელმწიფო ანსამბლი გასტროლიდან დაბრუნდა. ანსამბლი ორი თვის განმავლობაში გასტროლებით იმყოფებოდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ანსამბლის მოღვაწეებმა ოლქის ცენტრში — ცხინვალში, აგრეთვე ოლქის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში 30-ზე მეტი კონცერტი მისცეს.